პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

28 ნოემბერი, სამშაბათი, 1989 წ.
№ 227 (10 146) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან



მალხაზ ბერუაშვილი

ქართული ძიდაოების პირველ საერთაშორისო ტურნირში პირველი ფალავნის სახელი მოიპოვა ცნობილმა ქარელელმა მოძიდავემ მალხაზ ბერუაშვილმა, რომელმაც გარდა ამისა, ზემძიმე წონაშიც არავის დაუთმო პირველობა. დანარჩენ სამ წონით კატეგორიაში ჩემპიონები გახდნენ კასპელი ჯემალ გუდიევი (80 კგ), ქარელელი ჯემალ მჭედლიშვილი (90 კგ) და საგარეჯოელი კობა კუპატაძე (100 კგ).

●

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტოები.

პირველი საერთაშორისო ტურნირი ქართულ ჭიდაობაში

# ეროვნული ფესვებით ნასაზრდოები

**ჩვენ** თანდათან გამოვაჩინეთ დროებით მტვერწაყრილი უძვირფასესი ალმასი — ქართული ჭიდაობა. ახლა მას „წახნაგებს ვუპრიალებთ", გვინდა მისმა ბრწყინვალებამ ყველგან, ყველას მოსჭრას თვალი.

ამ მიზნით ჩატარდა თბილისის სპორტის სასახლეში ქართული ჭიდაობის ორი დაუვიწყარი საღამოც — პირველი საერთაშორისო ტურნირი ფალავნობაზე. გადაიდგა პირველი პრაქტიკული ნაბიჯი იმ ოცნების განხორციელებისაკენ, რომელიც უკვე კარგა ხანია ალელვებს ქართული ჭიდაობის ქომაგებსა და გულშემატკივრებს.

წინასწარ გაფრთხილებთ, ჩვენ ქვემოთ მოვიყვანთ სტუმართა გამონათქვამებს — თბილისის ტურნირის პირდაპირ ალტაცებულ შეფასებებს, ოღონდ ყველაფერი ეს მათი თავაზიანობის ხარკი კი არა, სინამდვილეა, ფაქტის აღიარება. მართლაც ყველაფერი კარგი და საინტერესო იყო ამ ორ საღამოს, ზადს ვერაფერს ნახავდა ყველაზე კირკიტა კაციც კი. ოღონდ მცირე ხინჯზე მაინც უნდა ვთქვათ და ეს სათქმელი აქვე, წერილის თავშივე გვინდა მოვიცილოთ.

დასახელების გარდა ტურნირს საერთაშორისო შეჯიბრების სტატუსი მიანიჭა ისრაელიდან ჩამოსულმა ორმა მოჭიდავემ, რომლებსაც ვერც ერთი ნიშნით, სპორტულ ფორმაზე გამოყვანილი წარწერის გარდა, ქართველ ფალავნებში ვერ გამოარჩევდით. დაპირების მიუხედავად, ყველას გასაკვირად, თბილისში არ ჩამოვიდნენ იაპონელი და თურქი მოჭიდავეები. მიზეზი ჯერჯერობით უცნობია, მაგრამ იმის გათვალისწინებით, თუ რა დაბეჯითებით იტყობინებოდნენ ისინი ჩამოსვლის შესახებ, ბუნებრივად გაჩნდა ეჭვი, რომ ვიღაცამ „იზრუნა" ვიზების გაცემის შეფერხებაზე. რა დასამალია, ყველას არ აძლევს ხელს ქართული ჭიდაობის საერთაშორისო სარბიელზე გასვლა (იგი თავისდა უნებურად სამბოს კონკურენტი ხდება). ისრაელის მოჭიდავეებიც მთელ ხუთ დღეს ისხდნენ ბუქარესტში და საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს ნებართვას ელოდნენ, მიუხედავად იმისა, რომ წინასწარ ყველაფერი შეთანხმებული იყო. შემდეგ შეწუხებულებმა რუმინეთიდან დეპეშა აფრინეს თბილისში. ისევ დატრიალდა ქვეყანაში ადამიანების შეშვება-გაშვების მძიმე, დაჟანგული ბორბალი და მადლობა ღმერთს, სტუმრებმა შეჯიბრებას ჩამოუსწრეს.

მოკავშირე რესპუბლიკიდან თბილისში ჩამოსვლას, ჯერჯერობით მაინც, ვიზა არ სჭირდება, მაგრამ, მოპატიჟების მიუხედავად, შეჯიბრებაზე უზბეკეთის მცირერიცხოვანი, თუმცა საკმაოდ ძლიერი გუნდის გარდა ვერავინ ვიხილეთ, თუმცა მოჭიდავეთა სხვა ნებისმიერ ტურნირზე (ძიუდოში, თავისუფალ ჭიდაობაში და ა. შ.) ყველა მოიჩქარის თბილისში.

მართლაც საწყენია, რომ იაპონელები და თურქები გამოაკლდნენ ტურნირს, ოღონდ მომავლის პერსპექტივას ეს გარემოება ვერაფერს დააკლებს. ის მაინც გავიგეთ, მომდევნო ცდაზე თადარიგი როგორ უნდა დავიჭიროთ, რომ ყველა წინაღობა, ბუნებრივი თუ ხელოვნური, უკან მოვიტოვოთ.

თუმცა აქ ისიც უნდა ითქვას, რომ სტუმართა რიცხვის სიმცირემ ბევრი ვერაფერი დააკლო ყველაზე მთავარს — ბრძოლების ხარისხს, ე. ი. ტურნირის დონეს, რომელიც ძალიან მაღალი გახლდათ. ისედაც ძნელი საფიქრებელი იყო, რომ ამ პირველ ტურნირზე ვინმე დიდ კონკურენციას გაუწევდა საგანგებოდ მომზადებულ ქართველ ფალავნებს. სტუმრების ასპარეზობა ნამდვილად სილამაზეს შემატებდა ტურნირს, მისი ხასიათის განმსაზღვრელი კი ვერ იქნებოდა. დიდად სასურველი ის იყო (და მომავალშიც იქნება), რომ უცხოელებსაც დაენახათ შეჯიბრების ღირსება და ამბავი წაეღოთ თავიანთ ქვეყნებში.

შესავალი გაგვიგრძელდა, მაგრამ ნუ დაივიწყებთ, რომ ეს საერთაშორისო ტურნირი ქართულ ჭიდაობაში სასაძირკვლე, რიგით პირველი გახლდათ...

— თქვენი ჭიდაობა, უზბეკურ კურაშს მაგონებს, — გვითხრა რაზოუ ბალტაევმა, უზბეკმა მოჭიდავემ, რომელმაც სტუმართაგან საუკეთესო შედეგს მიაღწია და მესამე ადგილი დაიკავა 90 კგ. წონაში. ეს სიმართლე უნდა იყოს,— ბალტაევმა და მისმა ამხანაგებმა, განსაკუთრებით ბაიამინ ესკიმბაევმა, ლამაზი წმინდა გამარჯვებებით გააოცეს მაყურებელი, ოღონდ ტურნირის უფრო ზედა საფეხურებზე ვერც თვითონ აიცილეს მარცხი თავიდან.

შეჯიბრებაზე საკვირველი და საინტერესო სხვაც ბევრი რამ იყო. 80 კგ წონითს კატეგორიაში დიდი შემართებით ასპარეზობდა 40 წლის (!) მცხეთელი მოჭიდავე, საქართველოს ყოფილი ფალავანი აბესალომ წიკლაური. მისი გამოსვლა ჭიდაობის ნამდვილი აკადემია გა-

იხ. გვ. 2 გვ.



ჯემალ გუდიევი



ჯემალ მჭედლიშვილი



კობა კუპატაძე



## უკომპრომისო ბრძოლაში

**ვოლჟსკში,** მოჭადრაკე ქალთა 49-ე საკავშირო ჩემპიონატზე ბრძოლა უკიდურესად დაიძაბა. თითოეულ ტურს, თითოეულ ქულას სულ უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭება. ამიტომაცაა, მონაწილენი ასე უკომპრომისოდ რომ არიან განწყობილნი. VIII ტურში ჩვენს თანამემამულეს, თბილისელ საერთაშორისო ოსტატ ქეთევან კახიანს პრინციპული შეხვედრა ჰქონდა ბაქოელ საერთაშორისო ოსტატ აინურ სოფიევასთან. კახიანი შავი ფიგურებით თამაშობდა. ესპანურ პარტიაში, როცა პოზიცია თითქმის თანაბარი იყო, კახიანმა არასწორი გეგმა აირჩია, რაც კარგად გამოიყენა მისმა მეტოქემ, უპირატესობა განავითარა და გაიმარჯვა. სამაგიეროდ, კახიანმა IX ტურში იყოჩაღა. ამ დღეს იგი თეთრი ფიგურებით ხვდებოდა ბალაკოველ საერთაშორისო ოსტატს სვეტლანა პრუდნიკოვას. გათამაშდა ბენონის დაცვა. პირველი 30 სვლა თეორიიდან იყო ნაცნობი. ერთ მომენტში პრუდნიკოვა ვერ გაერკვა შექმნილ პოზიციაში, კახიანმა ენერგიული თამაშით აიძულა მეტოქე ლაზიერი დაეთმო ორ ფიგურაში და ტექნიკურად დახვეწილად წარმართა შეხვედრის დასკვნითი ნაწილი.

ამ გამარჯვებით ქეთევან კახიანმა რამდენიმე საფეხურით წინ გადაინაცვლა სატურნირო ცხრილში.

VIII და IX ტურების სხვა შეხვედრები ასე დამთავრდა: **VIII ტური** — ნეპეინა — უსკოვა 0,5:0,5, ველიხანლი — სიტნიკოვა 1:0, პრუდნიკოვა — შერემეტიევა 0:1, ხარკოვა — ჩიოლუშკინა 0:1, კოზლოვსკაია — ლელჩუკ-პოპოვა 0:1, დიომინა — დომკუტე 1:0; გადაიდო შაფრანსკა — სახატოვასა და უმანსკაია — სემიონოვას პარტიები; **IX ტური** — დომკუტე — ნეპეინა 0:1, ლელჩუკ-პოპოვა — დიომინა 0,5:0,5, ჩიოლუშკინა — კოზლოვსკაია 1:0, შერემეტიევა — ხარკოვა 0:1, კახიანი — პრუდნიკოვა 1:0, სემიონოვა — სოფიევა 0:1, სიტნიკოვა — უმანსკაია 1:0, სახატოვა— ველიხანლი 1:0, უსკოვა — შაფრანსკა 1:0. სახატოვა — უსკოვას **VII ტურის** შეხვედრა ყაიმით დამთავრდა.

9 ტურის შემდეგ გათამაშებას ორი ლიდერი ჰყავს — ა. სოფიევა და ი. ჩიოლუშკინა — 6,5-6,5 ქულა. შემდეგ მოდიან ნ. სიტნიკოვა, ზ. ლელჩუკ-პოპოვა — 6-6, ი. დიომინა — 5,5, ქ. კახიანი, მ. შერემეტიევა, ვ. კოზლოვსკაია, ს. პრუდნიკოვა— 4,5-4,5...

„ლელოს" კორ.

## წყვილთა შეხვედრამ გადაწყვიტა

**ნანტი.** დამთავრდა ჩოგბურთელ ქალთა ევროპის გუნდური ჩემპიონატი, რომელშიც წარმატებით იასპარეზა საბჭოთა ნაკრებმა და პირველი ადგილი მოიპოვა. როგორც მოსალოდნელი იყო, ფინალური შეხვედრა დიდი ბრიტანეთის გუნდთან შეუპოვარი და მძაფრი გამოდგა.

პირველი ქულა საბჭოთა ნაკრებს ლეილა მესხმა მოუტანა, მან საკმაოდ ადვილად, ორ პარტიაში სძლია კლეირ ვუდს — 6:3, 6:1.

შემდეგ კორტზე გამოვიდნენ ნატალია ზვერევა და ჯო დიური. ინგლისელმა სპორტსმენმა ტოლი არ დაუდო მეტოქეს და ორ პარტიაში დაამარცხა იგი — 7:6, 6:4.

ანგარიში გათანაბრდა და ახლა ყველაფერი წყვილთა შეხვედრაზე აღმოჩნდა დამოკიდებული. ეს გადამწყვეტი ბრძოლა ნატალია ზვერევამ და ლარისა სავჩენკომ მონდომებით ჩაატარეს, ერთნაირი ანგარიშით მოიგეს ორივე პარტია (6:2, 6:2) და საბჭოთა ნაკრებს საბოლოო გამარჯვება მოუტანეს—2:1.

### ელვა-ინფორმაცია

**ათენში** მიმდინარე ევროპის ახალგაზრდა ძიუდოისტთა ჩემპიონატზე ზემძიმე წონის მოჭიდავეთა შორის უძლიერესის სახელს დაეუფლა ქუთაისელი დავით ხახალეიშვილი. ოქროს მედალი მოიპოვა ჩვენმა თანამემამულემ ჩელიაბინსკიდან გივი ვაჟურგაშვილმა (95 კგ). თბილისელ დავით ბაგაურს (86 კგ) ბრინჯაოს მედალი ერგო.

# ეროვნული ფესვებით ნასაზრდოები

(დასასრული)

ხლდათ ახალგაზრდებისათვის. წიკლაური დამაჯერებლად იგებდა შეხვედრებს (ძირითადად წმინდად იმარჯვებდა) და ფინალში გავიდა. მაგრამ ჭიდაობის ამ მარათონის ფინიშზე (80 კგ წონაში 6-6 შეხვედრა გაიმართა) წააგო 18 წლით უმცროს მეტოქესთან, კასპელ ჯემალ გუდიევთან, ისიც ერთადერთი ქულის სხვაობით. ამავე წონის მოჭიდავეთაგან კარგი შთაბეჭდილება დატოვეს აგრეთვე უზბეკმა ესკიმბაევმა, საგარეჯოელმა ბადრი მჭედლიშვილმა და თბილისელმა გია გინტურმა, რომელმაც III ადგილისთვის გამართულ ბრძოლაში აჯობა მჭედლიშვილს...

ყველაზე სასიამოვნო, რაც ტურნირზე შეინიშნებოდა, იყო ის, რომ შეჯიბრებამ მართლაც სრულად გამოხატა ქართული ჭიდაობის არსი. სპორტის სასახლეში როგორღაც თავისთავად დაინგრა ზედმეტი სიფრთხილისა თუ შიშის კედელი, ქულებისთვის ბრძოლის ეშმაკური ტაქტიკა, რომელიც თან ახლავს თანამედროვე ჭიდაობას, და სარბიელზე ვაჟკაცური შერკინება ბატონობდა. ძალიან ბევრი შეხვედრა ვადამდე დამთავრდა და ამის მიზეზი ათლეტთა სიძლიერის სხვაობა კი არ იყო, არამედ მათი სურვილი, ეჩვენებინათ ნამდვილი ჭიდაობა. გამონაკლისი ძალიან ცოტა იყო და, რაც იყო, ისიც საინტერესო შეხვედრათა ზღვაში ჩაიკარგა.

ასეთი სპორტული ატმოსფეროს შექმნაში დიდი წვლილი მიუძღვის ძალიან აქტიურ, მცოდნე მაყურებელსაც, რომელმაც ჩვენთვის ამ უძნელეს პერიოდში მაინც მოიცალა, რომ ხარკი მიეზღო სპორტის საყვარელი სახეობისთვის. გულშემატკივრები ფხიზლად ადევნებდნენ თვალს შეხვედრებს და ვაი იმ მოჭიდავეს, რომელსაც გულგრილობას შეატყობდნენ. თანაც ამდენ საუკეთესო ფალავანს შორის თავის გამოსაჩენად მონაწილეებს ერთადერთი — ვაჟკაცური ბრძოლის გზა რჩებოდათ...

90 კგ წონით კატეგორიაში გამოდიოდა მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი სამბოში ჯემალ მჭედლიშვილი და ფავორიტიც, ცხადია, ის იყო. მის მოქმედებაში მართლაც ჩემპიონის ხელწერა შეიმჩნეოდა, ქარელელი ფალავანი დინჯად, საგულდაგულოდ ამზადებდა მორიგ ფანდს, რომელსაც შემდეგ ელვისებურად ატარებდა და წმინდა გამარჯვებებს აღწევდა. მან ფინალშიც 3 წუთსა და 46 წამში დაამარცხა ახალგაზრდა ნიჭიერი რუსთაველი მოჭიდავე ვეფხია ავალიანი.

მაყურებელთა აღტაცებულ გრიალში უზბეკმა რაზოუ ბალტაევმა მესამე ადგილისთვის გამართული შეხვედრის სულ რაღაც 25-ე წამზე ძირს დასცა ხაშურელი პაატა მულაძე და ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. საერთოდ, მაყურებლები გულმხურვალედ ქომაგობდნენ სტუმრებს და მკაცრად ადევნებდნენ თვალს, რომ მსაჯებს ისინი არ დაეჩაგრათ,. თუმცა ამის საფუძველი არ იყო...

— ძალიან ობიექტური მსაჯობაა, — თქვა შემდეგ ბალტაევმა, — საერთოდ, ეს ატმოსფერო ჩვენებურ კურაშში გამართულ შეჯიბრებებს მაგონებს, ოღონდ აქ ასპარეზობას უფრო გრანდიოზული სახე აქვს. სხვათა შორის, ჩვენც ვიცით ჩემპიონის ცხვრით დაჯილდოება, თანაც ხორეზმის ოლქში, სადაც მე ვცხოვრობ, დაახლოებით ასეთი საჭიდაო ჩოხები აცვიათ. ძალიან კმაყოფილები ვართ, რომ ჩამოვედით და ამ შესანიშნავ ტურნირში მივიღეთ მონაწილეობა, შეჯიბრების ორგანიზაცია უმაღლესი დონისა გახლდათ. მომავალში აუცილებლად გეწვევით და უფრო ძლიერ გუნდსაც ჩამოვიყვანთ...

100 კგ წონით კატეგორიაში ფინალური შერკინების დროს დარბაზი პირდაპირ გრგვინავდა. მაყურებელთა რეაქცია ხალიჩაზე დატრიალებული ამბების ზუსტი ანარეკლი გახლდათ. ეს იყო მართლაც საუკეთესო შეხვედრები, როგორც ჭიდაობაში კარგად ჩახედული ხალხი ამტკიცებდა, ფინალში ერთმანეთის პირისპირ დადგნენ 22 წლის საგარეჯოელი კობა კუპატაძე, — ძალიან ღონიერი, შეუპოვარი ფალავანი და 30 წლის დავით დავითაშვილი (თბილისი) — გამოცდილი, უაღრესად ტექნიკური მოჭიდავე. მეტოქეთა ეს საფუძვლიანი არგუმენტები ტოლძალოვანი გამოდგა და შეხვედრა ფრედ (1:1) დამთავრდა. თუმცა დავითაშვილმა მაინც ჩაატარა ერთი ულამაზესი ფანდი, ოღონდ — ხალიჩის გარეთ, მაგრამ ყველამ მქუხარე ტაშით შეაფასა მისი ოსტატობა. გამარჯვება კი მეტი აქტიურობისთვის საგარეჯოელ მოჭიდავეს მიაკუთვნეს.

მესამე ადგილისთვის ჩატარებულმა შეხვედრამ სულ რაღაც 15 წამს გასტანა, მესტიელმა ლერი ქორქოლიანმა ეფექტური ილეთით დაამარცხა გორელი გიორგი რამაზაშვილი და გამარჯვება დაისაკუთრა. გარდა ამისა, საგანგებო პრიზით აღინიშნა ლ. ქორქოლიანის გამოსვლა.

ზემძიმე წონის მოჭიდავეთა შორის ალბათ ერთადერთი მონაწილე იყო მართლაც ზემძიმე წონისა — ზესტაფონელი ნიკო წაქაძე 140 კილოგრამს იწონიდა. თანაც ამ ახალგაზრდა მოჭიდავემ კარგი ოსტატობაც გამოავლინა და ფაქტობრივად უცნობი მონაწილე ერთ-ერთ ფავორიტად იქცა. გაცილებით მეტი ქომაგი ჰყავდა ცნობილ ფალავანს მალხაზ ბერუაშვილს. მის სიძლიერეში ეჭვი არავის ეპარებოდა, საქმე მხოლოდ ის იყო, როგორ მოემზადა იგი ამ ტურნირისთვის. მალხაზმა გვითხრა და ჩვენი თვალითაც ვნახეთ, რამდენად სერიოზულად მოეკიდა სახელოვანი



სურათზე ხედავთ იმ ხალხის ერთ ჯგუფს, რომელთა გარჯამ განაპირობა მაღალ დონეზე ჩატარებულიყო პირველი საერთაშორისო ტურნირი ქართულ ჭიდაობაში. ესენი არიან სპორტის მესვეურები, მსაჯები, მუსიკოსები...

მოჭიდავე ამ ტურნირს და რა საგულდაგულოდ მოემზადა. დანარჩენი კი, რომ იტყვიან, ტექნიკის საქმე იყო: მალხაზ ბერუაშვილმა დაამარცხა ყველა მეტოქე, ფინალში ნიკო წაქაძესაც სძლია და ზემძიმე წონაში ჩემპიონობა მოიპოვა. III ადგილზე ხაშურელი ავთანდილ მულაძე გავიდა, რომელმაც გორელი მიხეილ ხუმარაძე დაამარცხა.

და ბოლოს, დადგა მთავარი შერკინებების დროც. საქართველოს საუკეთესო ფალავნის სახელის მოსაპოვებლად ოთხივე წონის მოჭიდავეებმა „გაბედეს" ხალიჩაზე გამოსვლა, მაგრამ პირველი შეხვედრები არ შედგა: მონაწილეებს უამრავი ძალა და ენერგია წაართვა ქვეჯგუფებში გამართულმა ტურნირებმა, ამასთან ზოგი დაშავდა კიდეც და ფალავნობაზე ჭიდილისთვის ძალა აღარ შერჩა.

შეჯიბრება ფაქტობრივად ნახევარფინალიდან დაიწყო: კობა კუპატაძეს საკმაოდ გაუჭირდა თავისზე გაცილებით მსუბუქი მეტოქის



მალხაზ ბერუაშვილი დგება ხალიჩიდან, რომელზედაც ეს-ესაა დაამარცხა თავისი მეტოქე. მომდევნო ილეთი კი საჭირო აღარ არის, მსაჯი მის წმინდა გამარჯვებას აღნიშნავს ფინალურ შერკინებაში.

ჯემალ გუდიევის დამარცხება, თუმცა მაინც მიაღწია მიზანს. იგი ფინალში გავიდა.

მეორე ნახევარფინალში ერთმანეთს შეხვდნენ მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი სამბოში ჯემალ მჭედლიშვილი და საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი ძიუდოში მალხაზ ბერუაშვილი, რომელიც ახლა ასევე სამბოში გამოდის... ქართულმა ჭიდაობამ კიდევ ერთი კარგი საქმე გააკეთა: მან ერთად შეკრა, ერთმანეთს შეახვედრა ჭიდაობის სხვადასხვა სახეობაში „მიმოფანტული" ჩვენი ფალავნები, ამ შეხვედრებში უფრო ნათლად გვიჩვენა მათი ოსტატობა. მჭედლიშვილიც და ბერუაშვილიც ქარელის რაიონიდან არიან, პირველი — სოფელ ზემო ხვედურეთიდან, მეორე — ფციდან. მეზობლებს, თუ ბავშვობისდროინდელ ძიძგილაობას არ ჩავთვლით, არასდროს უჭიდავიათ ერთმანეთთან. ალბათ წარმოიდგენთ იმ ინტერესსა და ცნობისმოყვარეობას, რომელიც დარბაზში სუფევდა.

შეხვედრამ მოლოდინი გაამართლა. ერთი ქულის უპირატესობით (1:0) გაიმარჯვა მალხაზ ბერუაშვილმა და ფინალში გავიდა. ოღონდ ისიც უნდა ითქვას, რომ მჭედლიშვილმა სულ ახლახან გაიმარჯვა სამბისტთა მსოფლიო ჩემპიონატში და აშკარად გადაღლილი ჩანდა. როგორც ვიცით, უარის თქმასაც კი აპირებდა ამ ტურნირში მონაწილეობაზე.

ფინალი 2 წუთსა და 58 წამს გაგრძელდა, მალხაზ ბერუაშვილმა ბრწყინვალე ჩოქელა კისრული ჩაატარა და წმინდად დაამარცხა კობა კუპატაძე. 28 წლის ქარელელი ვაჟკაცი, ორი შვილის მამა მალხაზ ბერუაშვილი საქართველოს წლევანდელი ფალავანი გახდა. მისი სახელით დაიწყება ამ საერთაშორისო ტურნირში გამარჯვებულთა სიაც.

— მალხაზი ძალიან ძლიერი მოჭიდავეა, მართლაც ღირსეული ფალავანია, — თქვა ფინალის შემდეგ ჯემალ მჭედლიშვილმა. იგი უკვე მეხუთედ (!) ხდება საქართველოს ფალავანი, პირველად ჯერ კიდევ ათი წლის წინ მოიპოვა ეს ტიტული. მართლაც საკვირველი მიღწევაა.

● **ამ სამიდან რომელი მოგება გაგიჭირდათ ყველაზე მეტად?** — ვკითხეთ ჩემპიონს.

— ალბათ პირველი მოგება, მაგრამ ქართულ ჭიდაობაში ყოველი გამარჯვება ძალიან ძნელია. ერთი შეცდომის გამოც შეიძლება წააგო შეხვედრა.

● **თქვენ თქვით, რომ საგანგებოდ ემზადებოდით ამ ტურნირისათვის, ისე, როგორც „ძველ დროს"?**

— სწორედ ისე. ჩვენ ყველამ ქართული ჭიდაობიდან დავიწყეთ, მაგრამ მაინც ისევ გვჭირდება მიჩვევა. ახლა სხვა სახეობებში გამოვდივართ, ქართული საჭიდაო ჩოხით გამოსვლას კი სხვა ხერხი უნდა. მე რამდენიმე წელი მუხლი მტკიოდა და ეს დრო გამიცდა, ახლა კი ისევ ძველებურად მოვემზადე.

● **ვინ მოგეწონათ ყველაზე მეტად ტურნირის მონაწილეთაგან?**

— მთავარ მეტოქედ ჯემალ მჭედლიშვილს ვთვლიდი. თანაც წონით ჯემალზე მძიმე ვარ და ორთაბრძოლის ტაქტიკაც ამის მიხედვით შევირჩიე. ყველაზე მეტად კი აბესალომ წიკლაურის გამოსვლა მომეწონა. ასე იჭიდაო ორმოცი წლის ასაკში — მართლაც საკვირველია. მე ოცდარვა წლისა ვარ და კიდევ ვიჭიდავებ, მით უმეტეს ასეთ ტურნირებში. სულ მალე სამბისტთა საკავშირო პირველობაში გამოვალ...

ტყუილად არ გადაუყრიათ ფული ტურნირის სპონსორებს, შულავრის მატყლის პირველადი გადამუშავების ფაბრიკას და საწარმოო გაერთიანება „თეთრონს", მათმა საერთო ფსონმა შეუქმნა შეჯიბრებას მტკიცე მატერიალური ბაზა, რომელმაც მნიშვნელოვნად განაპირობა ტურნირის დონე, ინტერესი, მოკლედ, ყველაფერი, რაც რიგიან ასპარეზობას უნდა ამშვენებდეს. სპონსორებმა მაყურებლებს ქართული ჭიდაობის ზეიმი აჩუქეს. ტურნირის ბოლო, იმპროვიზებული აკორდი მართლაც ლამაზი იყო და შეჯიბრებაზე არანაკლები ხალისი გამოიწვია დარბაზში. მშვენიერმა გოგონამ სამივე პრიზიორი აცეკვა სათითაოდ.

თქვენ უკვე იცით იმ ფულადი ჯილდოების შესახებ, შეჯიბრების პრიზიორებმა რომ მიიღეს. ფალავნობაში გამარჯვებულს სამი ათასი მანეთი გადაეცა, მეორე და მესამე პრიზიორებს — შესაბამისად ორი ათასი და ათასი. დაჯილდოვდნენ ქვეჯგუფებში გამარჯვებულები და პრიზიორები (1000, 500 და 300 მან.), არც სტუმრებს დასწყვიტეს გული...

შეჯიბრებაზე ბევრი ჩოხა დაიხა. ზოგიერთი ფალავანი ისეთი ძალისა იყო, იქნებ ბაგირსაც გაწყვეტდა, მაგრამ ალბათ ამდენი ჩოხის დახევა მართლაც მეტისმეტი იყო. მომავალში საჩოხედ უფრო მტკიცე ქსოვილის შერჩევა და მათი საიმედო შეკერვა იქნება საჭირო.

აუცილებლად უნდა ითქვას მუსიკოსთა დასტაზე გრიგოლ ქსოვრელის ხელმძღვანელობით. გარდა შეჯიბრების აკომპანიმენტისა, სპორტის სასახლეში გამართულ ტურნირებს იშვიათად ჰქონია ასეთი სასიამოვნო მუსიკალური შესვენებები. მედოლე ოთარ ჯანეზაშვილმა ელდარ შოშიტაშვილისა და ზაურ წერეთლის დახმარებით რამდენიმე სიმღერა უძღვნა მაყურებელს. სხვათა შორის, სამივე მუსიკოსი ძველი მოჭიდავეა.

— ამ შეჯიბრებისთვის მართლაც ღირდა ისრაელიდან ჩამოსვლა — გვითხრა მწერალმა სოლომონ აჯიაშვილმა, საქართველოდან ამოსულ ქართველ ებრაელთა კავშირის თავმჯდომარის მოადგილემ და საქმეთა მმართველმა — ჩვენი კავშირი ბევრ საქმეს აკეთებს ქართული კულტურის პოპულარიზაციისათვის. თვით ისრაელის მთავრობის წევრებსაც კი ვპატიჟებთ ხოლმე ჩვენს საღამოებზე. ამ შეჯიბრებაში მონაწილეობითაც იმავე საქმეს ვაკეთებთ, ვეცდებით ისრაელში ქართული ჭიდაობაც გავიტანოთ და ყველას გავაცნოთ. ჩვენი მოჭიდავეები რობიზონ ქონაშვილი და ემზარ სეფიაშვილი თორმეტ-ცამეტი წლისანი წავიდნენ აქედან, ქართული ჭიდაობის საფუძვლიანად სწავლა ვერ მოასწრეს, მაგრამ, მგონი, ცუდად არ უჭიდავიათ, მთავარი კი ისაა, რომ ამ თბილ ატმოსფეროში მოვხვდით...

**გიორგი ჩოჩიშვილი.**

### კვარცხლბეკი

**80 კგ.** 1. ჯემალ გუდიევი (კასპი); 2. აბესალომ წიკლაური (მცხეთა); 3. გია გინტური (თბილისი).

**90 კგ.** 1. ჯემალ მჭედლიშვილი (ქარელი); 2. ვეფხია ავალიანი (რუსთავი); 3. რაზოუ ბალტაევი (უზბეკეთი).

**100 კგ.** 1. კობა კუპატაძე (საგარეჯო); 2. დავით დავითაშვილი (თბილისი); 3. ლერი ქორქოლიანი (მესტია).

**ზემძიმე წონა.** 1. მალხაზ ბერუაშვილი (ქარელი); 2. ნიკო წაქაძე (ზესტაფონი); 3. ავთანდილ მულაძე (ხაშური).

**ფალავნობა.** 1. მალხაზ ბერუაშვილი; 2. კობა კუპატაძე; 3. ჯემალ მჭედლიშვილი.

• • •

**ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტოები.**

# რკენა

**ორი** კილომეტრი ფირი გამოყო კინოსტუდია „ქართულმა ფილმმა" ქართულ ჭიდაობაში პირველი საერთაშორისო ტურნირის შესახებ დოკუმენტური ფილმის გადასაღებად. ფილმს იღებს რეჟისორი გიორგი გამილაღდიშვილი, რომელსაც სპორტის მოყვარულები უკვე იცნობენ ძიუდოსადმი მიძღვნილი ნამუშევრებით. სხვათა შორის, თავად რეჟისორი წარსულში სპორტსმენი გახლდათ, რამდენჯერმე იყო ძიუდოსა და სამბოში საკავშირო შეჯიბრებების გამარჯვებული და პრიზიორი, აქვს საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის წოდება.

საინტერესოა, რომ ქართველი კინემატოგრაფისტები პირველად როდი მიმართავენ ჭიდაობის თემას. ამ თემაზე გადაღებული სულ ბოლო ნამუშევარი, რეჟისორ ირაკლი ტრიპოლსკის დოკუმენტური ფირი „რკენა" 1988 წელს შეიქმნა. და თუ ახალი ფილმი ძირითადად ჭიდაობის მომავალს, საერთაშორისო სარბიელზე გამოსვლასთან დაკავშირებულ მის პერსპექტივებს მიეძღვნება, ფილმი „რკენა" არის კინომოთხრობა ქართული ეროვნული ჭიდაობის ისტორიის შესახებ.

ისტორია კი ჭიდაობას უმდიდრესი აქვს. ფილმი გვიამბობს ტრადიციის წარმოშობისა და დამკვიდრების შესახებ, მოყოლებული სათავეებიდან. საქართველო პატარა ქვეყანაა და მას არსებობისთვის, დამოუკიდებლობისთვის გამუდმებული ბრძოლა უწევდა. კარგი მოჭიდავე კარგ მეომარსაც ნიშნავდა. იქნებ ჩვენ იმიტომაც ვიცით ასე ცოტა შუა საუკუნეების მოჭიდავეებზე, რომ ისინი ისტორიაში მეომრებად შევიდნენ. „რკენაში" უნიკალური კადრებიც არის. მაგალითად, 1911 წელს თბილისში ჩატარდა საერთაშორისო ტურნირი ჭიდაობაში... ქალთა შორის! თუმცა ჯერ კიდევ ბევრ თბილისელს ახსოვს, როგორ ჭიდაობდა ვერის დაღმართზე მდებარე ცირკში ულამაზესი თამარ გრუზინსკაია. გამოჩენილ მოჭიდავე ქალს, „მუხათელ რძალს" ანა ბაჯის კი საიათნოვამ ლექსი უძღვნა! ლეგენდარული კულა გლდანელის ამბავი რად ღირს! ამბობენ, იგი ხშირად ატარებდა საქველმოქმედო შეხვედრებსაც.

რაღაზე მოგვითხრობს ახალი ფილმი? ალბათ იმაზე, რომ რკენა — ასე უწოდებდა სულხან-საბა ორბელიანი ჭიდაობას — დღეს ხელახლა იბადება.

**პეპი ბოჟორიშვილი.**

## საქართველოს პირველობა

**გაიმართა** რესპუბლიკის საფეხბურთო ჩემპიონატის მორიგი შეხვედრები: პოლიტექნიკური ინსტიტუტი (თბილისი) — „არაგვი“ (დუშეთი) 5:1, „მზიური“ (გალი) — „სამეგრელო“ (ჩხოროწყუ) 2:1, „სიონი“ (ბოლნისი) — „მეტალურგი“ (ზესტაფონი) 3:0, „საპოვნელა“ (თერჯოლა) — „სქური“ (წალენჯიხა) 3:0, „დინამო“ (გაგრა) — „ბახტრიონი“ (ახმეტა) 3:0, „შადრევანი“ (წყალტუბო) — „ივერია“ (ხაშური) 1:2, „ამირანი“ (ოჩამჩირე) — „არმაზი“ (მცხეთა) 0:0, „დინამო“ (ზუგდიდი) — ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) 2:2, „სულორი“ (ვანი) — „დურუჯი“ (ყვარელი) 3:0.

## საფეხბურთო ლიგების კავშირში

**სსრკ საფეხბურთო** ლიგების კავშირი იუწყება, რომ ადმინისტრაციული საბჭოს წევრებად აირჩიეს ა. აკენტიევი — სსრ კავშირის სახალხო დეპუტატი, სპორტის დამსახურებული ოსტატი, საბჭოთა არმიის ცენტრალური სპორტული კლუბის უფროსი; ნ. ბობრიცკი — ნოვოსიბირსკის სამრეწველო გაერთიანების გენერალური დირექტორი; ი. ნეტო — სპორტის დამსახურებული ოსტატი; მ. რომაროვსკი — სახალინის საზღვაო სანაოსნოს უფროსი და თეიმურაზ გუგუნავა — ქალაქ ლანჩხუთის სახალხო დეპუტატთა აღმასკომის თავმჯდომარე.

## სეზონის საუკეთესო მეკარე

ჟურნალ „ოგონიოკის“ წლევანდელი სპეციალური პრიზი გადაეცემა 1989 წლის საფეხბურთო სეზონის საუკეთესო მეკარისა მოსკოვის „სპარტაკის“ კარის დარაჯს სტანისლავ ჩერჩესოვს.

# პროფესიული კლუბი იმედს ამართლებს

**საფეხბურთო** სეზონის ბოლოს კიდევ ერთი საინტერესო მატჩი გაიმართა ხობის „კოლხეთის“ სტადიონზე, ლანჩხუთის „გურიას“ მასპინძლობდა ხობის „კოლხეთი“. მაყურებელი ტაშით შეხვდა გუნდებს, თამაშის დასასრულს სტუმრები ყვავილებითა და საჩუქრებით დააჯილდოვეს. ეს მატჩი კი ლანჩხუთის „გურიის“ უპირატესობით წარიმართა და მისივე გამარჯვებით 3:0 დამთავრდა, ბურთები გაიტანეს გურულმა, უგრელიძემ და ფრიდონაშვილმა. ხობის სტადიონზე ამ დღესაც, როგორც ყოველთვის, მრავლად მოვიდა მაყურებელი და ეს ხდება იმ პატარა ქალაქში, სადაც ორი-სამი წლის წინათ ადგილობრივი გუნდი საქართველოს პირველობაზე ულამლამოდ გამოდიოდა.

მაინც, რა მოხდა ასეთი? ამ კითხვაზე პასუხის გაცემა დააინტერესებს ფეხბურთის გულშემატკივრებსაც და სპორტის ამ სახეობის მესვეურთაც.

იქნებ ცინიკურად თქვას ვინმემ — ფეხბურთის საყურებლად კი არა, ლატარიის ბილეთის ინტერესით დადის ხალხიო... უფრო დიდ ქალაქებშიც თამაშდება ლატარიის ბილეთები, მაგრამ ამდენი მაყურებელი როგორც ხობშია იშვიათობაა. საშუალოდ მატჩებს აქ 15-16 ათასი გულშემატკივარი ესწრება.

ყველასათვის ცნობილია თუ როგორი სპორტული ბაზები აშენდა ხობში, მაგრამ რაიონში მარტო ბაზების მშენებლობით არ დაკმაყოფილებულან და სპორტის სხვადასხვა სახეობების აღორძინება დაიწყეს. ამ საქმეში დიდი ამაგი მიუძღვის ადგილობრივ ხელმძღვანელობას, ხობში ხშირად იმართება რესპუბლიკური თუ საკავშირო ტურნირები ცურვაში, ჭადრაკში, მძლეოსნობაში, მშდ მრავალჭიდში, კრივში, ფეხბურთში და სხვა.

ხობის „კოლხეთს“, რომელიც დღეს II ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშებაში გამოდის, ერთ დროს რესპუბლიკური საფეხბურთო გათამაშების პირველი ჯგუფის დატოვებაც კი მოუხდა, მაგრამ 1987 წლისთვის კვლავ აღიდგინა დაკარგული პოზიცია, ხოლო 1988 წელს რესპუბლიკის ჩემპიონიც გახდა. დებულების თანახმად იმ წელს ჩემპიონი მეორე ლიგაში არ გადადიოდა, მაგრამ ქუთაისის „ტორპედოს“ გამარჯვებისა და პირველ ლიგაში გადასვლის შემდეგ თავისუფალი ადგილი გამოვლინდა, რომელსაც, ცხადია, რესპუბლიკა არ დაკარგავდა. მახსოვს, ბევრი სპეციალისტი სკეპტიკურად უყურებდა „კოლხეთის“ II ლიგაში გადასვლას, მაგრამ გუნდმა მეხუთე ადგილი დაიკავა და არაერთი გამოცდილი კოლექტივი ჩამოიტოვა უკან.

ხობის „კოლხეთი“ იმავე წელსვე პროფესიულ კლუბად იქცა, კლუბის შექმნის გამოცდილება კი გუნდს არ ჰქონდა. „კოლხეთის“ ბედი მთელმა რაიონმა გაიზიარა. მას მხარში ამოუდგნენ პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო ხელმძღვანელები, ფეხბურთის გულშემატკივრები. კოლექტიური საწევროებიდან 180 ათასი მანეთი შემოვიდა (საშუალოდ თითოეული კოლექტივისგან 2000-2500 მანეთი), ინდივიდუალური წევრებისგან — 38 ათასი მანეთი, კოოპერატივმა „მერცხალმა“ (თავმჯდომარე ნუგზარ შუშანია), „კოლხეთის სპონსორობა იკისრა და 20 ათასი მანეთის ფინანსური დახმარება აღმოუჩინა. ამას დაემატა ბილეთების და ერთგულების ლატარიის გათამაშების შემოსავალი და კლუბს მტკიცე ეკონომიკური საფუძველი შეექმნა. ახლა, როცა სეზონი დამთავრდა, დაიანგარიშეს და ყოველი მატჩის საშუალო შემოსავალმა 45 ათასი მანეთი შეადგინა, აქედან კლუბს თავის ანგარიშზე რჩება 32 ათასი მანეთი. ცხადია, არც ეს თანხა რჩება ხელუხლებელი. ფეხბურთელების ხელფასი, პრემია, მივლინებები, კვება, პერსონალის შენახვა ხარჯებთან არის დაკავშირებული, მაგრამ მოგება მაინც მნიშვნელოვანია. ახლა „კოლხეთის“ ანგარიშზეა 400.000 მანეთი წმინდა მოგება. ამას დამატებული ის 270 ათასი მანეთი, რომელიც სტადიონის რეკონსტრუქციისთვის გადაიხადეს.

მოვუსმინოთ გუნდის უფროსს პაატა თათარიშვილს: „კლუბი „კოლხეთი“ თავის მისიას პირნათლად ასრულებს. მან ბევრი უხერხულობა აგვაცილა, შემოსული თანხის განმგებელი პრეზიდიუმია, რომელიც არეგულირებს ხარჯებს.

„კოლხეთს“ უკვე აქვს სარეზერვო შემადგენლობის გრძელი სია. მჭიდრო კონტაქტი გვაქვს ოლიმპიური რეზერვების მომზადების სკოლა-ინტერნატთან და განათლების სპორტსკოლასთან, რომლის ბაზაზე შექმნილია მეორე გუნდი „კოლხეთი-2“. მან წარმატებით ჩაატარა ზონალური შეხვედრები და გაიყვანა საქართველოს პირველობის მეორე ჯგუფში იასპარეზებს. სამერმისოდ ამ გუნდიდან ველით შევსებას.

პროფესიულმა გუნდმა გულშემატკივრების იმედი გაამართლა, ამიტომ ყველა თამაშზე დასწრებაც მაქსიმალურია, მაგრამ ეს მარტო ჩვენი დამსახურება როდია, რაიონის ხელმძღვანელობა ყოველნაირად გვიდგას მხარში, მატჩებზე მოწესრიგებულია მაყურებელთა ტრანსპორტით უზრუნველყოფის საკითხი, ყველა სოფელს გამოყოფილი აქვს ავტობუსები, არის შესაბამისი რეკლამა, როგორც ადგილობრივი გაზეთისა, ისე სტადიონის ინფორმატორის მეშვეობით.

კლუბის სამეურნეო ანგარიშზე გადასვლამ და კარგმა ფინანსურმა მდგომარეობამ შესაძლებლობა მოგვცა მთელი სპორტული კომპლექსი (საცურაო აუზი, დახურული სპორტული დარბაზი, სამი ფეხბურთის მინდორი, ოთხი კორტი, ორი მინი-ფეხბურთის მოედანი) ჩვენ გადმოგვცემოდა. მას სათანადოდ მოვუვლით და გამოვიყენებთ. დეკემბერში საბჭოთა კავშირის ფეხბურთელთა ნაკრებს ველოდებით, რომელიც 20 დღიან შეკრებას გაივლის ჩვენს ქალაქში. მოწვეული გვყავს უმაღლესი ლიგის რამდენიმე გუნდი, არც სხვა კოლექტივებს ვეტყვით უარს, რაც ორმხრივ სასარგებლო იქნება ჩვენთვისაც და სტუმრებისთვისაც.

**ნუგზარ ჟვანია.**

(„ლელოს“ საკ. კორ.)

# უპატრონო შეჯიბრება

**წლევანდელი** საფეხბურთო სეზონის ყველა კალენდარში შავით თეთრზე წერია, რომ 19 ან 26 ნოემბერს დაგეგმილი იყო „სეზონის თასის“ მატჩი სსრ კავშირის შარშანდელ ჩემპიონსა და ჩვენი ქვეყნის თასის შარშანდელ მფლობელს შორის. ერთმანეთს უნდა შეხვედროდნენ „დნეპრი“ (დნეპროპეტროვსკი) და „სპარტაკი“ (მოსკოვი).

ეს შეჯიბრება იმთავითვე დიდ სპორტულ ინტერესს იწვევდა, ასეთად რჩება იგი არსებითად ახლაც. მაგრამ ეტყობა მას „ბედი არ წყალობს“. ბოლო წლებია სეზონის ერთ-ერთი უმთავრესი, კონკრეტული მატჩი ჩემპიონსა და თასის მფლობელს შორის სავსებით დაუმსახურებლად მიივიწყეს და რახან დიდი ფეხბურთის ორგანიზატორები ამგვარ დამოკიდებულებას იჩენენ სეზონის თასის მატჩისადმი, გასაკვირი არაა, რომ გულშემატკივრებმაც გული აიცრუეს მასზე და უკანა პლანზე გადაიტანეს.

წლევანდელი მატჩიც „დნეპრსა“ და „სპარტაკს“ შორის აღარ შედგება. სსრ კავშირის სპორტსახკომის ფეხბურთის სამმართველოდან „სოვეტსკი სპორტში“ ამგვარი განმარტება გამოაქვეყნეს სეზონის თასის მატჩის თაობაზე: იგი 19 ნოემბრისთვის იყო დაგეგმილი, მაგრამ ვინაიდან ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციამ 8 ნოემბრიდან 15 ნოემბრისთვის გადაიტანა სსრ კავშირისა და თურქეთის ნაკრები გუნდების მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი, ავტომატურად გაუქმდა 19 ნოემბერს დანიშნული სეზონის თასის მატჩიც. ნაკრების 15 ნოემბრის შეხვედრის შემდეგ მოსკოვის „სპარტაკმა“ 18 ნოემბერს სსრ კავშირის თასზე ითამაშა მინსკში, აღარ დაუცადა 26 ნოემბერს და მერე შვებულებაში გავიდა. ამის შედეგად სეზონის თასის „უპატრონო“ შეჯიბრება კვლავ ასეთად დარჩა. ისე კი, მთელი წლევანდელი საფეხბურთო სეზონის განმავლობაში მრავალზე მრავალი საუკეთესო შესაძლებლობა იყო ერთმანეთთან რომ საგანგებო პრიზისთვის ეთამაშათ „დნეპრსა“ და „სპარტაკს“.

# წერილი რედაქციას

**დამთავრდა** 1989 წლის საფეხბურთო სეზონი. ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებმა მეტ-ნაკლები წარმატებით იასპარეზეს საკავშირო ჩემპიონატის სხვადასხვა ლიგაში, მიწუნარდა გულშემატკივართა ვნებათაღელვაც, მაგრამ რედაქციაში კვლავ მრავლად მოდის მკითხველთა წერილები, სწორედ ერთ-ერთი მათგანი გვინდა გავაცნოთ „ლელოს“ მკითხველებს.

აგერ უკვე ორ წელზე მეტია ყურადღებით ვადევნებთ თვალს სპორტულ პრესას, მაგრამ ბოლო ხანებში, სამწუხაროდ, შევნიშნეთ, რომ ზოგიერთი სპორტული ჟურნალისტი თავის პუბლიკაციებში ხშირად იყენებს, არასპორტულ, რაიმე ფაქტებით დაუსაბუთებელ „ტერმინოლოგიას“.

თუ მივუბრუნდებით სამი წლის წინ დაბეჭდილ მასალებს, როდესაც ლანჩხუთის „გურია“ უმაღლესი ლიგის ზღურბლზე იდგა, პრესაში გაჩნდა რბილად თუ ვიტყვით, ყოველგვარ ტაქტს მოკლებული პუბლიკაციები. გუნდის კარგი თამაში, განსაკუთრებით სეზონის მიწურულს, პირდაპირ დაუკავშირეს საქართველოში ციტრუსების უხვ მოსავალს. ამან, რა თქმა უნდა, ქართველი გულშემატკივრების გულისწყრომა გამოიწვია.

„გურიამ“ წელსაც წარმატებით იასპარეზა. გვინდა ლანჩხუთელ ფეხბურთელებთან ერთად, წარმატება მოვულოცოთ, ასევე, ცსკა-ს ფეხბურთელებს, მწვრთნელებს და გულშემატკივრებს. ვფიქრობთ, არც ერთ საღად მოაზროვნე გულშემატკივარსა და ჟურნალისტს არ აეჭვებს ამ გუნდების სიძლიერე.

წლევანდელ სეზონში ხშირად ლაპარაკობენ იმის თაობაზე, რომ მსაჯები „დახმარებას“ უწევდნენ საქართველოს გუნდებს. მსაჯობას მართლაც შეუძლია კორექტივების შეტანა თამაშის შედეგში, ეს განსაკუთრებით იგრძნობოდა უმაღლესი ლიგის გუნდების მაგალითზე (წლევანდელ სეზონში ყველაზე უფრო თბილისისა და მოსკოვის დინამოელები დაზარალდნენ). იყო შეცდომები პირველ ლიგაშიც. არმიელთა ლიდერი ვ. მასალიტინი 32 გოლის ავტორია და ლიგის ყველაზე შედეგიანი ბომბარდირი გახდა. აღსანიშნავია, რომ 8 ბურთი მან გაიტანა ბოლო ორ ტურში, რომელიც ცსკა-მ დახურულ მანეჟში ჩაატარა. თუმცა, მისი ბრალი ხომ არაა, რომ საბჭოთა კავშირში დახურულ დარბაზებში, ხელოვნურ საფარზე თამაშობენ. ისეთი აზრი გვიჩნდება, რომ ვ. მასალიტინის ადგილზე, ვთქვათ, ლანჩხუთელი მ. ჟორდანია რომ აღმოჩენილიყო, რომელიც აგრეთვე აცხადებდა პრეტენზიას ლიგის საუკეთესო ბომბარდირის წოდებაზე, აუცილებლად გამოჩნდებოდნენ ვაი-ჟურნალისტები, რომლებიც დაახლოებით ასეთი შინაარსის წერილს დაწერდნენ (მოგვიტევეთ ასეთი თვითდაჯერება): „ლანჩხუთის „გურიამ“ ბოლო ორ ტურში, გაგანია „ციტრუსების სეზონში“, არა მარტო თავისი მთავარი ამოცანა გადაჭრა, არამედ ისიც მოახერხა, რომ 8 ბურთი გაატანინა თავის ლიდერს მ. ჟორდანიას, რომელიც ლიგის საუკეთესო ბომბარდირი გახდა“.

გვინდა დავიჯეროთ, რომ ვცდებით, მაგრამ ზოგიერთი პუბლიკაცია კვლავ სცოდავს ტენდენციურობით. ასე, მაგალითად, ყოველკვირეულ „ფუტბოლ-ხოკეიში“ (№45, 1989), მე-10-12 გვერდებზე გამოქვეყნებულია ვ. გუზიკის წერილი „ხარისხის საფირმო ნიშანი“, სადაც ავტორი ცსკა-ს ფეხბურთელებზე გვესაუბრება. საკმაოდ დიდი და სრული მიმოხილვაა. წერილის ბოლოში ავტორი ლიგის ზოგიერთ სხვა გუნდსაც ახასიათებს. ნათქვამია, რომ ცსკა-სთვის მძაფრი კონკურენციის გაწევა მხოლოდ ქართველმა ფეხბურთელებმა შესძლეს, ამის მეტი „გურიაზე“ არაფერია ნათქვამი. რა თქმა უნდა, სტატია არმიელთა გუნდს ეხება, მაგრამ მეორე პრიზიორზეც ხომ შეიძლებოდა ორიოდე სიტყვის დამატება. ჩვენი სურვილი იქნებოდა, რომ თუ ყოველკვირეულში დაიბეჭდება წერილი „გურიაზე“, იქ უფრო მეტი იყოს ნათქვამი ცსკა-ზე, ვიდრე ვ. გუზიკმა თქვა თავის წერილში „გურიაზე“.

დავუბრუნდეთ ვ. გუზიკის წერილს:

„იმ გუნდებიდან, ვინც ყურადღება მიიქცია, აღნიშვნას იმსახურებენ „ფაკელი“, „ტავრია“, „მეტალურგი“ და ახალგაზრდული „ნისტრუ“. შემდეგ კი, ავტორი, ჩვენის აზრით, ძალზე უხეშ, ულამაზო გადასვლას აკეთებს:

„დანარჩენი კლუბები შორს იყვნენ იმისგან, რომ სათანადო კონკურენცია გაეწიათ ლიდერისთვის. მათ რიცხვშია ქუთაისის „ტორპედო“, არადა, ეს ქალაქი ცნობილია თავისი საფეხბურთო ტრადიციებით. დღეს კი „ტორპედო“ ვერ ტოვებს კარგ შთაბეჭდილებას, თუმცა თავისი ამპარტავნობა და ამბიციები კვლავ აქვს. რა შედეგი გამოიღო ამან, ყველამ კარგად იცის“.

შემდეგ ავტორი იხსენებს ქუთაისის მატჩს:

„პირველი მატჩი ქუთაისში 49 წუთით შეწყდა მინდორზე გამოცვენილი მაყურებლების გამო. არმიელებმა მოიკრიბეს მთელი ძალ-ღონე და დაასრულეს მატჩი (1:1), შინ კი, მეორე წრის შეხვედრაში, დაამარცხეს „ტორპედო“ ანგარიშით 8:1 და იმის მაგალითი მისცეს, თუ როგორ უნდა მოექცე სპორტულ, პატიოსან ბრძოლაში მას, ვინც გაწყენინა“.

ალბათ, ჟურნალისტური ეტიკეტის დაცვით, ვ. გუზიკი ეს ბოლო სიტყვა წინწკლებში უნდა ჩაესვა. უკეთესი კი იქნებოდა ეს სიტყვა მას სულაც არ ეხმარა, თორემ ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ ცსკა მოსკოვში ეთამაშა არა „ტორპედოს“ ფეხბურთელებს, არამედ გულშემატკივართა იმ ჯგუფს, მინდორზე რომ გადმოვიდა.

ჭეშმარიტმა ქართველმა გულშემატკივრებმა, საზოგადოებრიობამ, „ტორპედოსა“ და „დინამოს“ ხელმძღვანელობამ მკაცრად დაგმეს ამ მაყურებელთა საქციელი. ვსარგებლობთ შემთხვევით და ბოდიშს ჩვენც ვიხდით, მაგრამ ეს დასანანი ისტორია არავის აძლევს სპეკულაციის მორალურ უფლებას, მით უმეტეს ჟურნალისტს, რომელიც ასეთ სოლიდურ გამოცემას წარმოადგენს.

და, ბოლოს, გვინდა ვისურვოთ, რომ მთელი ქვეყნისთვის ესოდენ რთულ სიტუაციაში, სპორტული პრესის ფურცლებზე მაინც სუფევდეს პატიოსანი თამაშის ატმოსფერო.

პატივისცემით

**ვალერი ლაბუტინი,**

ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი, იხტიოლოგი.

**მალხაზ მეტრეველი,**

პედაგოგი.



## ფინალისტებს ანაწილებენ ჯგუფებად

**„იტალიელები** ითამაშებენ რომში, არგენტინელები — ნეაპოლში, ხოლო ბრაზილიელები—მილანში.— განუცხადა რომაელ ჟურნალისტებს 1990 წლის მსოფლიო საფეხბურთო ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტის გენერალურმა მენეჯერმა ლუკა მონტეძემოლომ. — ეს გუნდები უკვე განაწილებული არიან ჯგუფებად ტურნირის საწყის სტადიაში“.

ფავორიტების ეს განაწილება ეხება „ა“, „ბ“ და „დ“ ჯგუფებს, მაგრამ საორგანიზაციო კომიტეტთან დაახლოებული საინფორმაციო წყაროები იუწყებიან, რომ მეოთხე ფავორიტი იქნება გფრ-ის ნაკრები, რომელიც „ე“ ჯგუფში ითამაშებს ქალაქ ვერონაში. დანარჩენი „ც“ და „ფ“ ჯგუფების ლიდერები, ალბათ, იქნებიან ესპანეთის, ინგლისისა და ბელგიის გუნდები.

ლ. მონტეძემოლომ ჟურნალისტებს ისიც განუცხადა, რომ საორგანიზაციო კომიტეტმა რეკომენდაცია მისცა ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციას, ყველა მატჩი ინგლისის ნაკრების მონაწილეობით ჩატარდეს კალიარიში, რომელიც სარდინიის კუნძულზე მდებარეობს, ან პალერმოში (სიცილია).

— საქმე ისაა, — თქვა მენეჯერმა, — რომ ყველამ კარგად იცის ინგლისელი გულშემატკივრების ავი ზნე, უხიფათობის შენარჩუნება კი კუნძულებზე, სადაც მოხვედრა შეიძლება მხოლოდ ზღვით ან საჰაერო გზით, მნიშვნელოვნად გაგვიადვილდება. ინგლისელ გულშემატკივრებთან დაკავშირებული რისკი მინიმუმამდე უნდა დავიყვანოთ.

რაც შეეხება თამაშებზე ბილეთების გასაღებას, ლ. მონტეძემოლოს რწმუნებით დეკემბრის დასაწყისისთვის გაიყიდება იტალიელთათვის განკუთვნილი ყველა ბილეთი, ეს კი საერთო რაოდენობის 50 პროცენტს შეადგენს. რაც შეეხება ფინალური მატჩის ბილეთებს 8 ივლისისთვის, მათი გაყიდვა დაიწყება მხოლოდ 1 თებერვალს, ამასთან განაცხადების რაოდენობა უკვე იქვსჯერ აღემატება რომის ოლიმპიური სტადიონის 85-ათასიანი სტადიონის ტევადობას.

## დისკვალიფიკაცია დოპინგის გამო

**საფრანგეთის** კლუბ „ტულონის“ თავდამსხმელი ფილიპ ანციანი დისკვალიფიცირებულია ერთი თვით დოპინგის გამოყენების გამო. ასეთი რამ საფრანგეთის ფეხბურთის ისტორიაში ჯერ არ მომხდარა.

გუნდის მწვრთნელის როლან კურბის სიტყვებით, ანციანი არასდროს არ სარგებლობდა აკრძალული პრეპარატებით. მან მატჩამდე ერთი კვირით ადრე მიიღო თავის ტკივილის საწინააღმდეგო აბები.

„ტესტები არსებობს იმისთვის, რომ ფეხბურთელებმა გვერდი აუარონ დოპინგს და არა იმიტომ, რომ მათ ეშინოდეთ ტკივილის გამაყუჩებელი პრეპარატების მიღებისა“— განაცხადა მან.

1986 წლიდან, მას შემდეგ, რაც საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაციამ შემოიღო მატჩისშემდგომი ტესტების ჩატარება, მხოლოდ ერთხელ, შარშან მოხდა, რომ „მარსელის“ ორმა მოთამაშემ ერიკ დი მეკომ და ბრუნო ჟერმენმა უარი განაცხადეს დოპინგ-კონტროლის გავლაზე.

## მუშტი-კრივი მინდორზე

**ინგლისის** პროფესიული საფეხბურთო კლუბები „ვესტ ჰემი“ და „უიმბლდონი“ უახლოეს ხანებში წარდგებიან სასამართლოს წინაშე იმის გამო, რომ ამ ორი გუნდის ფეხბურთელებმა ინგლისის ლიგის თასის გათამაშების მატჩში აშკარა დებოში და მუშტი-კრივი გამართეს მინდორზე. ხელჩართულ ბრძოლაში მონაწილეობა მიიღო 17 ფეხბურთელმა.

# „ოქრო“ — არმიელთა პირველობაზე



**წლევანდელი** სპორტული სეზონი ადრე დაიწყეს თბილისის არმიის სპორტული კლუბის მთამსვლელებმა. ჯერ ზამთრის ასვლა მოაწყვეს სამხრეთ უშბაზე, რომელიც გაბრიელ ხერგიანის მარშრუტით გაიარეს. ეს ასვლა 1984 წელს ამავე მარშრუტზე დაღუპული ექვსი ქართველი მთამსვლელის ხსოვნას მიეძღვნა. არმიელებმა იღბლიანად აღებული სტარტი ასევე კარგად გააგრძელეს ჩრდილოეთ, აღმოსავლეთ, ცენტრალურ კავკასიონზე და ცენტრალური პამირის მწვერვალებზე, სადაც გუნდის წამყვანმა წევრებმა მე-5 და სამი უმაღლესი კატეგორიის სირთულის ასვლები განახორციელეს. ეს ფაქტი თავისთავად იშვიათია ქართული ალპინიზმის ისტორიაში.

თბილისის ასკ ტრადიციულად მნიშვნელოვან წარმატებებს აღწევს შეიარაღებული ძალების საკავშირო პირველობებზე. კლუბის შემადგენლობაში მრავალი ქართველი მთამსვლელი დასტატდა.

ძირითად შემადგენლობას, რომელიც საქართველოს ნაკრები გუნდის წევრებითაა დაკომპლექტებული (სპორტის ოსტატობის კანდიდატი ფ. ჯოხაძე, ბ. გუჯაბიძე, დ. რაქვიაშვილი, ი. ვაშაყმაძე, ს. კობაიძე, ა. მოკვერაშვილი, თ. ზერიშვილი), რამდენიმე პერსპექტიული მთამსვლელი (მ. ხაბაზი, კ. ვაშაკიძე, ნ. ტაბიძე, მ. ქუმსიაშვილი, ნ. ერქომაიშვილი) შეემატა, რომლებსაც ლ. სარქისოვი ხელმძღვანელობს.

წლეულს I თანრიგი შეასრულეს მ. ხაბაზმა, ვ. ვაშაკიძემ და ნ. ტაბიძემ, ხოლო სპორტის ოსტატობის კანდიდატის ნორმატივები ს. კობაიძემ და ახალგაზრდა მთამსვლელებმა დ. რაქვიაშვილმა და ა. მოკვერაშვილმა.

გუნდის კაპიტანმა ბ. გუჯაბიძემ და დ. რაქვიაშვილმა შეიარაღებული ძალების საკავშირო პირველობაზე, ტექნიკური ასვლების კლასში, პირველი ადგილი და ოქროს მედლები მოიპოვეს. მათ მიერ სამხრეთ უშბაზე სამხრეთ-დასავლეთ კედლის ცენტრით გავლილი მარშრუტი უმაღლესი, მე-6 ბ კატეგორიის სირთულისაა. მარშრუტის საკვანძო მონაკვეთს წარმოადგენს 800-მეტრიანი შვეული კედელი, რომლის საშუალო დახრა 85 გრადუსს აღწევს. ასეთ მონაკვეთებზე წინმავალ მთამსვლელს მეკლდეურთა უმაღლესი ტექნიკის გამოვლენა უხდება. კედლის დაძლევას მეტად ართულებს ჩანჩქერი, რომელიც დღის 3 საათიდან პირდაპირ მარშრუტზე მოედინება და პრაქტიკულად შეუძლებელს ხდის მოძრაობას. მთამსვლელების სწრაფმა და შეთანხმებულმა მოქმედებამ განაპირობა მწვერვალის დალაშქვრა, რასაც 3 ღამისთევა დასჭირდა.

აღსანიშნავია, რომ აქ მოპოვებული ოქროს მედალი ბ. გუჯაბიძისთვის მეოთხეა, რომელიც შეიარაღებული ძალების პირველობაზე დაიმსახურა. იგი ჩვენი გუნდის ჭეშმარიტი ლიდერია.

კავკასიონზე შესრულებული ტექნიკური ასვლების შემდეგ გუნდი სრული შემადგენლობით ცენტრალურ პამირში გაემგზავრა. აქაური მწვერვალებიდან რევოლუციის პიკი ერთ-ერთი ურთულესია (6975). სწორედ რევოლუციის პიკის ძირას „კლდოვან სკოლაში“ წარმატებით იასპარეზეს ვაშაყმაძე-კობაიძის და რაქვიაშვილ-მოკვერაშვილის წყვილებმა.

სასიმაღლო ასვლის ობიექტად არჩეული იყო მწვერვალების შპკა-რევოლუციის ტრავერსი. ეს მარშრუტი დიდ ფსიქოლოგიურ და ფიზიკურ მომზადებას მოითხოვს მთამსვლელისგან. გუნდის წევრებმა წარმატებით გაართვეს თავი ამ სირთულეებს. მთამსვლელებისთვის საუკეთესო მაგალითია 51 წლის ლ. სარქისოვის სპორტული მოღვაწეობა. ვეტერანმა ალპინისტმა თავისი 30-ე ალპინისტური სეზონი რევოლუციის პიკის მესამედ დაპყრობით აღნიშნა.

წლევანდელმა სეზონმა დაგვარწმუნა, რომ გუნდის წევრებს შესწევთ ძალა დაიცვან ქართული ალპინიზმის ღირსება ნებისმიერი რანგის შეჯიბრებებში.

**ივანე ვაშაყმაძე,**
**ექსპედიციის წევრი.**

**სურათზე:** ბ. გუჯაბიძე მარშრუტზე.

დ. რაქვიაშვილის ფოტო.

## სოლიდური სხვაობით

**მოსკოვი.** კალათბურთელ ვაჟთა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში განცდილი მარცხის შემდეგ საბჭოთა ნაკრებს უკან დასახევი გზა, ფაქტიურად, მოჭრილი ჰქონდა. ამიტომ ისრაელის გუნდის წინააღმდეგ იგი ყოველმხრივ მომზადებული და მობილიზებული გამოვიდა და, რაც მთავარია, არვიდას საბონისის სახით მეტად საჭირო შევსება მიიღო.

საბჭოთა კალათბურთელებმა ეს მატჩი მოიგეს, თანაც საკმაოდ სოლიდური სხვაობით 93:61 (48:29). საბონისის წილი ამ წარმატებაში, როგორც ყოველთვის, დიდი იყო — 27 ქულა. ვალერი ტიხონენკომ და რიმას კურტანაიტისმა კოლექტივს 14-14 ქულა შესძინეს. ისრაელის გუნდში ყველაზე შედეგიანი კალათბურთელები როზენბერგი და ჯამში იყვნენ (12-12 ქულა).

მორიგ მატჩს საბჭოთა კალათბურთელები გამართავენ საფრანგეთში 29 ნოემბერს. მეორე წრის შეხვედრები კი მერმისს, თებერვალში შედგება.

## რაიც ვერ ვიხილეთ

**29 ნოემბერს** ამერიკული ტელეკომპანია „დისნეი ჩენელი“ აწყობს საპრემიერო ჩვენებას ფილმისა „სეული-88: დიდების 16 დღე“, რომელიც ეძღვნება შარშან სამხრეთ კორეაში გამართული ზაფხულის ოლიმპიური თამაშების ასპარეზობებს. ამ თამაშების შესახებ ოფიციალური ფილმის გადაღება დავალებული ჰქონდა ცნობილ ამერიკელ რეჟისორს ბად გრინსპენს.

საინფორმაციო სააგენტოების მიმომხილველებს მიაჩნიათ, რომ გრინსპენის ნამუშევარი, დიდებაზე მეტად მისკენ მიმავალ დრამატიზმებით აღსავსე მომენტებზე ამახვილებს ყურადღებას.

— ჩემი ფილმი, — ამბობს ბად გრინსპენი, — მხოლოდ ნაწილობრივ ეყრდნობა სტატისტიკას. საქმე ისაა, რომ სეულის თამაშებში 10 ათასი ჭაბუკი და ქალიშვილი მონაწილეობდა და 200-ზე ნაკლებს ხვდა წილად ბედნიერება საპატიო კვარცხლბეკზე დამდგარიყო და რომელიმე სინჯის მედალი მიეღო. ესე იგი ყოველი 14 მონაწილიდან 13-ს არაფერია რგებია. მიუხედავად ამისა, ჩვენს თვალში ისინი მაინც გამარჯვებულები არიან.

ფილმში ასახულია ბევრი ღირსსახსოვარი ეპიზოდი, რაც ახლებურად აღგვათქმევინებს ოლიმპიურ სპორტსა და მის ღირებულებას. მაგალითად, განა შეიძლება გულგრილად უცქირო სეულის ველოტრეკზე საოცარ დაძაბულ ბრძოლას კრისტა როტენბურგერისა (გდრ) და ცნობილ საბჭოთა მრბოლ ერიკა სალომიაეს შორის. კრისტა ხომ მრავალგზის ოლიმპიური ჩემპიონია ციგურაობაში და ძალიან სწადდა, რომ გამხდარიყო პირველი სპორტსმენი ქალი, რომელიც ერთ სეზონში „საზაფხულო ოლიმპიურ ოქროსაც“ დაეუფლებოდა. ამ ოცნების განხორციელებას ცივი წყალი გადაასხა ერიკამ, რომელმაც სპრინტერული რბოლის ფინალში წამის მეასედით დაასწრო მეტოქეს და გაწბილებული როტენბურგერი სასოწარკვეთამ მოიცვა...

— ფილმზე მუშაობისას, — თქვა მისმა შემქმნელმა, — ვისწრაფვოდით გვეჩვენებინა 16 დაუვიწყარი დღის მიკროსამყარო და იმავდროს გაგვემართლებინა სურათის სათაური — „იმის შესახებ, რაც ვერ ნახეთ ოლიმპიადაზე“...

# ბრიტანეთიდან — წაუგებლად

**გამარჯვებით** დაასრულა 13-მატჩიანი ბრიტანული ტურნე მსოფლიო თასის მფლობელმა, ახალი ზელანდიის ეროვნულმა ნაკრებმა „ოლ ბლექსმა“. ტრადიციისამებრ, სტუმრებმა ბოლო, გამოსათხოვარი მატჩი გამართეს „ბარბაროსებთან“ — გუნდთან, რომელსაც არც საკუთარი სტადიონი აქვს, არც მწვრთნელი ჰყავს და შემთხვევიდან შემთხვევამდე, მატჩის დღეს იკრიბება ხოლმე საჩვენებელი და საქველმოქმედო თამაშების გასამართავად. „ბარბაროსები“ თავიანთ რიგებში, ჩვეულებრივ, მხოლოდ თვითმყოფად, ინდივიდუალისტ მოთამაშეებს იღებენ, მატჩის შედეგს უგულებელყოფენ და თამაშის ერთთავად იერიშზე ფიქრობენ. ამგვარი თავზეხელაღებულობის მიუხედავად, „ბარბაროსებს“ სხვადასხვა დროს დაუმარცხებიათ მსოფლიო რაგბის „ბუმბერაზები“, მათ შორის „ოლ ბლექსიც“.

ამჯერად „ბარბაროსების“ ღირსებას ექვსი ინგლისელი, სამ-სამი უელსელი და შოტლანდიელი, ორი ირლანდიელი და ერთი ავსტრალიელი (შერკინების ნახევარმცველი ნიქ ფარჯოუნზი) იცავდნენ. მატჩი ლონდონის გარეუბან თვიქნემში გაიმართა და 51 ათასი გულშემატკივარი მიიზიდა.

„ბარბაროსებმა“ უკვე მე-3 წუთზე გახსნეს ანგარიში, როცა სტუმართა კარის ხაზთან აუტში მოგებული ბურთი ირლანდიელმა მეთიუზმა ლელოში შეიტანა. მე-20 წუთზე ახალზელანდიელებმა სადა კომბინაცია გაითამაშეს, გარემარბმა ენისმა ლელო გაიტანა, ფოქსმა გარდასახა და დააწინაურა „ოლ ბლექსი“ — 6:4. მაგრამ შესვენებამდე შოტლანდიელმა გ. ჰესთინგსმა ორი საჯარიმო შეაგდო და ტაიმი „ბარბაროსებმა“ მოიგეს — 10:6.



შესვენებისას სტუმართა დაშავებული კაპიტანი შელფორდი შერკინებისას შემკვრელად ზინზან ბრუქმა შეცვალა, რაც უმალ დაეტყოთ მსოფლიო ჩემპიონებს. მთელი ძალით ათამაშდნენ მორკინალები, ბრუქმა ნახტომით ლელო გაიტანა, ფოქსმა ზუსტად დაარტყა და ანგარიში გახდა 12:10. თამაში ახალი ძალით გაჩაღდა, მაგრამ ანგარიში დიდი ხნის მანძილზე უცვლელი რჩებოდა. მხოლოდ 76-ე წუთზე შეაგდო ფოქსმა საჯარიმო, კიდევ ორი წუთის შემდეგ კი სტუმართა ბურჯმა ლოუმ მესამე ლელო გაიტანა და ფოქსმა კვლავ ზუსტად დაარტყა. საბოლოოდ გაიმარჯვეს (21:10) ახალზელანდიელებმა და უკვე მერამდენედ დაამტკიცეს, რომ დღესდღეობით მსოფლიოში ბადალი არა ჰყავთ. მათს ანგარიშზე ზედიზედ წაუგებლად ნათამაშევი 46 მატჩია, მათ შორის — 19 „ტესტი“. ახალზელანდიელები უკანასკნელად სამი წლის წინ დამარცხდნენ — ნანტში, საფრანგეთის ნაკრებთან (3:16). ამ ტურნეში კი მათ ცამეტივე შეხვედრა მოიგეს, მათ შორის ტესტ-მატჩები უელსთან და ირლანდიასთან, გაიტანეს 64 ლელო, მოაგროვეს 406 ქულა და, პირველად 1925 წლის შემდეგ, ბრიტანეთიდან შინ უძლეველნი გაემგზავრნენ.

## ტელეტაიპი - ქრონიკა

**პესკარა.** იტლიის ამ ქალაქში გაიმართა ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის მეორე ფინალური შეხვედრა წყალბურთში მოსკოვის „დინამოსა“ და ადგილობრივ „სისლეის“ შორის. პირველი მატჩი მოსკოვში, როგორც ცნობილია, იტალიელებმა მოიგეს — 14:11. საპასუხო ორთაბრძოლა უაღრესად მძაფრი გამოდგა და ფრედ — 11:11 დამთავრდა. ორი შეხვედრის ჯამში გამარჯვება და საპატიო ჯილდო წილად ხვდათ იტალიელ წყალბურთელებს.

**დორტმუნდი.** ხელბურთში სუპერთასის ნახევარფინალურ შეხვედრაში საბჭოთა კავშირის ვაჟთა ნაკრებმა დაამარცხა რუმინეთის გუნდი (39:20) და ფინალში გავიდა. მეორე ფინალისტია გდრ-ის გუნდი, რომელმაც ნახევარფინალში იუგოსლავიელ ხელბურთელებს სძლია — 23:22.

**კობე.** იაპონიის ამ ქალაქში გაიმართა ფიგურისტთა დიდი საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც წარმატებით იასპარეზა ოდესელმა ვიქტორ პეტრენკომ. მან პირველი ადგილი დაიკავა ვაჟთა ტურნირში. მომდევნო ადგილებზე გავიდნენ: ალექსანდრე ფადეევი და კანადელი მსოფლიო ჩემპიონი კურტ ბრაუნინგი.

**ბერლინი.** მოციგურავე ქალთა მსოფლიო თასის პირველ ეტაპზე წარმატებას მასპინძლებმა — გდრ-ის სპორტსმენებმა მიაღწიეს. 500-მეტრიან დისტანციაზე გამარჯვა ანგელა ხაუკმა (40,69), 1500 მეტრზე კი უძლიერესი იყო გუნდა კლემანი (2.08,73). დასავლეთ ბერლინში ანალოგიური შეჯიბრება ჩაატარეს ვაჟებმა. აქ 500-მეტრიან დისტანციაზე უძლიერესი იყო ოლიმპიური ჩემპიონი უვე-იენს მაი (გდრ) — 37,55.

**ტოკიო.** ფრენბურთელთა მსოფლიო თასი, როგორც ქალთა, ისე ვაჟთა შორის, კუბელმა სპორტსმენებმა მოიგეს. საბჭოთა ვაჟთა ნაკრები მესამე ადგილზეა.

**მოსკოვი.** ცსკა-ს ოლიმპიურ კომპლექსში გაიმართა საჩვენებელი მატჩი ამერიკულ ფეხბურთში „მოსკოვის დათვებსა“ და „ხარკოვის ატლანტებს“ შორის. გაიმარჯვეს უფრო გამოცდილმა „დათვებმა“ — 26:0.

## „მაკაბი“ ამერიკაში

**როგორც** უცხოური პრესა იტყობინება, კალათბურთის სამშობლოში ტურნე გამართა თელ-ავივის „მაკაბიმ“. განსაკუთრებით დიდი ინტერესი გამოიწვია „მაკაბის“ შეხვედრამ პროფესიულ კლუბ „მაიამი ჰიტთან“. თუ მაიამი დღეს აუტსაიდერთა რიგებს მიეკუთვნება, „მაკაბი“ ევროპის საკლუბო კალათბურთის აღიარებული ლიდერია. ჩემპიონთა თასის ბოლო გათამაშების უცვლელი ფინალისტია. სტუმრებმა ეს მატჩი თითქმის უძლიერესი შემადგენლობით ჩაატარეს. მათ მხოლოდ კენ ბარლოუ აკლდათ. პროფესიონალებმა მაინც გაიმარჯვეს — 101:95.

## არნახულ ზღურბლს მიაღწია

**ბელგრადში** მიმდინარე მოჭადრაკე ვაჟთა დიდი საერთაშორისო ტურნირის დამთავრებამდე ერთი ტურით ადრე გარი კასპაროვმა გაინაღდა პირველობა და, რაც მთავარია, მიაღწია არნახულ ზღურბლს — 2800 ქულა დააგროვა პროფესორ ელოს კოეფიციენტთა ცხრილში. კასპაროვს 8,5 ქულა აქვს და ბოლო ტურში მისი მეტოქეა იუგოსლაველი პრედრაგ ნიკოლიჩი. მსოფლიო ჩემპიონი 2,5-2,5 ქულით უსწრებს უახლოეს „მდევრებს“ იან ელვესტსა და იან ტიმანს.

## ლიდერობენ იუგოსლაველები

**ისრაელის** ქალაქ ხაიფაში დაიწყო ვაჟთა ევროპის ჩემპიონატი ჭადრაკში, რომელშიც 27 გუნდი მონაწილეობს. პირველ ტურში საბჭოთა ნაკრებმა სძლია ესპანეთის გუნდს — 4,5-1,5. მეორე და მესამე დღეს საბჭოთა ნაკრების მეტოქეები იყვნენ ჩეხოსლოვაკიისა და საბერძნეთის გუნდები. ამ შეხვედრებში ანგარიში ჯერჯერობით თანაბარია — 2,5-2,5. თითო პარტია გადადებულია. შეჯიბრებას 13 ქულითა და ორი გადადებული პარტიით იუგოსლავიელები ლიდერობენ. 11,5 ქულა აქვს ინგლისის ნაკრებს. შემდეგ მოდიან ჩეხოსლოვაკია 11 (1), პოლონეთი — 11, ბულგარეთი, უნგრეთი, რუმინეთი, გფრ — 10-10 (2-2), საბერძნეთი — 10 (1), სსრ კავშირი — 9,5 (2)...

## „სპორტლოტო“

**მოსკოვში** გაიმართა „სპორტლოტოს“ მორიგი, 48-ე ტირაჟები.

**„სპორტლოტო 6 45“-დან:** 5 (თავისუფალი ჭიდაობა), 16 (ცხენოსნობა), 37 (აკრობატიკა), 38 (ალპინიზმი), 40 (რიკაობა), 44 (ჭადრაკი).

**„სპორტლოტო 5 36“-დან:** 1 (კალათბურთი), 7 (კლასიკური ჭიდაობა), 8 (ველორბოლა ტრეკზე), 27 (მშვილდოსნობა), 31 (ფარიკაობა).

## „სპორტპროგნოზი“

**48-ე ტირაჟის შედეგები**
**(24-26 ნოემბერი)**

1—1, 2—1, 3—1, 4—2, 5—2, 6—2, 7—X, 8—1, 9—1, 10—2, 11—1, 12—1, 13—X.

**შენიშვნა:** პირველი ციფრი წყვილის ნომერს აღნიშნავს, მეორე — შედეგს.

რედაქტორის მოადგილე
**უ. ჭიჭინაძე**

**ჩვენი მისამართი:**
წერილებისთვის — 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14,
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“.

**რედაქციის ტელეფონები:**
წერილების განყოფილება — 93-97-55,
სამდივნო — 93-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53,
„მერანი“ — 93-97-26, „მართვე“ — 93-97-27.

**ჩვენი ინდექსი** 66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 10 531